ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 164

10 ივლისი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონში, ჟღენტის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.02.016.010.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონში, ჟღენტის ქუჩა №2ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.02.016.010.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 4 ივლისის №18.474.774 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-2 მიკრორაიონში, ჟღენტის ქუჩა №2ა-ში, I სართულზე მდებარე 11.07 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი №01.14.02.016.010.01.522) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე იზოლდა აფხაზავასთვის (პ/ნ 01010018381) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**